იაკობ მესხია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საერთავრობო პროგრამის პოლუსები

გასული წლის დასასრულს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა, სოციალურ-პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მწვავე კრიზისულმა მოვლენებმა დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების პროგრამის ძირითად მიმართულებათა ტრანსფორმაციისა და ახალი ორიენტირების ჩამოყალიბების აუცილებლობა. გამომდინარე აქედან, 2008 წლის იანვარში საქართველოს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა საქართველოს მთავრობის ახალ შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას ***„ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“****, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით, შეიძლება ითქვას, ძირითადად განსხვავდება მისი წინამორბედი სამთავრობო პროგრამისგან* ***„ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის“****, რომლის მოქმედების ვადა მხოლოდ 4-იოდე თვით შემოიფარგლა.*

საქართველოს მთავრობის ახალი პროგრამის ფორმირება ფორს-მაჟორულ სიტუაციაში მიმდინარეობდა. მას წინ უძღოდა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების გამწვავება, პრეზიდენტის ვადამდელი გადადგომა, ახალი არჩევნები და შესაბამისად, მთავრობის ახალი სტრუქტურის ფორმირება. ცხადია, ასეთ ვითარებაში ახალი სამთავრობო პროგრამის ჩამოყალიბება დიდ ძალისხმევას და ინტელექტუალური რესურსების მობილიზაციას მოითხოვდა, რასაც ახალმა მთავრობამ შეიძლება ითქვას წარმატებით გაართვა თავი. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ შექმნილმა კრიზისულმა სიტუაციამ მაინც გარკვეული გავლენა იქონია სრულფასოვანი, გამჭვირვალე, არგუმენტირებული და საზოგადოებისათვის მარტივად აღსაქმელი სამთავრობო პროგრამის შედგენაზე.

რა ფაქტორებმა განაპირობეს ახალი სამთავრობო პროგრამის შედგენა?

გარდამავალ ეტაპზე, მსგავსად სხვა პოსტსაბჭოური და პოსტსოციალისტური ქვეყნებისა, საქართველოც ვერ აცდა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს. **უფრო მეტიც, ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა, სამოქალაქო ომმა ქვეყანა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.** თუმცა, 1996 წლიდან დაიწყო გარკვეული აღმავლობა.

ეკონომიკური ზრდისა და სახელმწიფო ბიუჯეტის გაჯანსაღების კვალდაკვალ 2000-2007 წლებში გამოიკვეთა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ტენდენცია: თუმცა, მიუხედავად მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიმართულებით მიღწეული გარკვეული პროგრესისა, სიღარიბის პრობლემა მაინც მწვავე და დაუძლეველი დარჩა – **ოფიციალური სტატისტიკით, დღეისათვის სიღარიბის დონე 38,5 პროცენტია, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 40 პროცენტამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.**

ქვეყნის ეკონომიკაში მიღწეულ წარმატებებს ხელისუფლება პროპაგანდას საკმაოდ აქტიურად უწევდა, მაგრამ საზოგადოებაში თანდათანობით მწიფდებოდა მწვავე კითხვა: **თუ ეკონომიკა მართლაც და მაღალი ტემპებით ვითარდება, რატომ ასევე მაღალი ტემპებით არ მატულობს მოსახლეობის ცხოვრების დონე?** კითხვა სავსებით ლოგიკურია (ამ კითხვას სიმწვავეს ისიც მატებდა, რომ ბოლო წლებში მოსახლეობის დასაქმების დონე კი არ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა კიდეც). ოფიციალური სტატისტიკით, 2001 წელს უმუშევრობის დონე შეადგენდა 11,2 პროცენტს (235,6 ათასი უმუშევარი), ხოლო 2007 წელს მან შეადგინა 13,6% (270,5 ათასი უმუშევარი). ეს ოფიციალური სტატისტიკით, რომელიც აღრიცხავს მხოლოდ რეგისტრირებულ უმუშევრებს, ხოლო ფაქტობრივად უმუშევართა რიცხვი 3–ჯერ მეტი იყო.

ხელისუფლებამ საზოგადოების მწვავე, მაგრამ სამართლიან კითხვაზე პასუხის გაცემა დააგვიანა. ეკონომიკურ გუნდში არ აღმოჩნდა ისეთი პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც ხალხს აუხსნიდა სოციალური სტაგნაციის გამომწვევ ობიექტურ და სუბიექ-

ტურ მიზეზებს. არადა, ეკონომიკური ზრდა, ყოველთვის იმავე სიდიდით (ტემპებით) ცხოვრების დონის გაზრდას არ იწვევს, იმ შემთხვევაში, **როდესაც გადასახდელია საგარეო ვალები, როდესაც თითქმის ნულიდანაა შესაქმნელი ეროვნული არმია,** როდესაც სარეაბილიტაციოა **ინფრასტრუქტურის თითქმის ყველა სფერო**, როდესაც შესაქმნელია სახელმწიფო ინსტიტუტები და ა.შ. ეს ყველაფერი ობიექტური ფაქტორებია. მაგრამ იყო სუბიექტური მიზეზებიც. **როგორც ჩანს, ახალგაზრდა ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რათა შეემუშავებინა პრიორიტეტების ოპტიმალური ნუსხა, რომელთა ჩამონათვალში თანაბრად იქნებოდა რანჟირებული პრიორიტეტები და სადაც ადამიანი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ფენომენი, სამართლიან თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებდა. საუბარია მატერიალური სიკეთის ოპტიმალურ გადანაწილებაზე სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.**

სოციალური დაძაბულობის სიმწვავემ 2007 წლის მეორე ნახევარში, რომელიც ქუჩის მრავალათასიან აქციებში გამოვლინდა, ხელისუფლება აიძულა შეეცვალა პრიორიტეტების ნუსხა და მნიშვნელოვნად შემობრუნებულიყო მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენისაკენ. გარდატეხა მოხდა მყისიერად, ძალიან მოკლე დროში, ხელისუფლებამ გამოიჩინა პოლიტიკური ნება და მთელი რიგი სოციალური საკითხები ახლებურად გაიაზრა და მათი ყველაზე გადაუდებელი, მოკლევადიანი ნაწილი პრაქტიკულად ნაწილობრივ გადაწყვიტა კიდევაც. მათ შორის, **აღსანიშნავია პედაგოგთა ხელფასის გაზრდა, პენსიების გადიდება, ელექტროენერგიებისა და ბუნებრივი აირის ვაუჩერების გაცემა, პენსიონერებზე მედიკამენტის შესაძენი ვაუჩერების გაცემა, ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრებისათვის სტიპენდიების დანიშვნა, დასაქმების პროგრამის ფარგლებში უმუშევრებზე თანხის გაცემა, წარჩინებულ სტუდენტებზე სტიპენდიების დანიშვნა, მილიონამდე ოჯახისათვის ხორბლის ფქვილის გაცემა, სოციალურად დაუცველთათვის სასურსათო დახმარების გაწევა, დაბალშემოსავლიან ოჯახებში შვილის დაბადებისას ფულადი დახმარების აღმოჩენა და ა.შ.**

აღნიშნული ღონისძიებები უმნიშვნელოა იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც დგას ქვეყნის წინაშე სიღარიბის დაძლევის სფეროში. ამიტომაც საჭირო გახდა გრძელვადიანი სამთავრობო პროგრამის შემუშავება, რომელშიც უფრო მკაფიოდ და სრულიად გაიწერებოდა მომავლის მიზნები და ამოცანები.

პროგრამის ძირითადი თავისებურებები. წინა სამთავრობო პროგრამებისგან და განსაკუთრებით 2007 წლის სექტემბერში მთავრობის მიერ გაცხადებულ პროგრამასთან შედარებით, ახალი მთავრობის პროგრამა ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

– ახალი პროგრამა გრძელვადიანი ხასიათისაა, რადგან იგი მოიცავს 2008–2012 წლებს, ხოლო წინა სამთავრობო პროგრამაში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ვადები არ იყო დაკონკრეტებული;

– წინა სამთავრობო პროგრამა უფრო თეზისურ ხასიათს ატარებდა, მასში არც ერთი მოვლენა არ იყო რაოდენობრივად დაკონკრეტებული, მაშინ როდესაც ახალ პროგრამაში ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებები ციფრობრივ პარამეტრებშია დახასიათებული, რაც, რა თქმა უნდა, მას უფრო მიზნობრივ და გამჭვირვალე სახეს აძლევს;

– ყველაზე მთავარი თავისებურება კი იმაში

მდგომარეობს, რომ ახალ პროგრამაში შესულია ახალი საკითხები, ახალი მიზნები და ამოცანები, რომლებიც მას უფრო ინოვაციურ და შემოქმედებით ხასიათს აძლევენ. სწორედ იმ გარემოებამ, რომ პროგრამაში აისახა საქართველოს სინამდვილისთვის ჯერ კიდევ უცნობი და პრაქტიკულად არააპრობირებული ეკონომიკური ორიენტირები, ერთის მხრივ, იგი უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახადა, ხოლო, მეორეს მხრივ, საზოგადოებაში გაჩნდა კითხვების საკმაოდ დიდი წრე, რომლებზეც პასუხი პროგრამას უფრო გამჭვირვალეს, საზოგადოებისათვის სანდოს და მისაღებს გახდის.

პროგრამის მიზნები და ამოცანები. მთავრობას მიაჩნია, რომ საპროგრამო ვადაში უნდა იქნას მიღებული ორი ძირითადი მიზანი. **პირველი** – მოსახლეობის კეთილდღეობა – საქართველო სიღარიბის გარეშე და **მეორე** – ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სრული ტერიტორიული და სამოქალაქო რეინტეგრაცია.

ამ ორი ძირითადი მიზნიდან გამომდინარეობს პროგრამის ქვემიზნები და ამოცანები, რომლებითაც ძირითადად გრძელდება მთავრობის აღრინდელი კურსი, თუმცა, არის გარკვეული სიახლეები, როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში.

სიახლეა, რომ ხუთწლიან პერიოდში ეროვნული უსაფრთხოების კუთხით საქართველოს მთავრობა გეგმავს NATO-ში გაწევრიანებას და ტერიტორიული და სამოქალაქო რეინტეგრაციის დასრულებას, აგრეთვე რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას.

პროგრამაში ავტონომიურადაა წარმოდგენილი

„ეროვნული კეთილდღეობისა“ და **„მოსახლეობის კეთილდღეობის“** მიზნები და ამოცანები, თუმცა, ჩემის აზრით, სადავოა კეთილდღეობის ამგვარი კლასიფიკაცია, რადგან როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მაკროეკონომიკური პოლიტიკა დაუსაბუთებლადაა გაიგივებული ეროვნული კეთილდღეობის კატეგორიასთან.

სამთავრობო პროგრამის „ეროვნული კეთილდღეობის“ ბლოკში, რომელიც, როგორც აღინიშნა, ასახავს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანებს, სიახლეა ე.წ. **„მომავალი თაობის ფონდის“ და „სტაბილური განვითარების ფონდის“** შექმნა, რომლებშიც მოხდება სავალდებულო საბიუჯეტო პროფიციტის და საპრივატიზაციო შემოსავლების აკუმულირება. „მომავალი თაობების ფონდში“ შევა ფისკალური პროფიციტის 25 პროცენტამდე და კაპიტალური შემოსავლების 75 %, რითაც მასში აკუმულირებული იქნება მინიმუმ 3 მილიარდი ლარი. ფონდის თანხები დაიხარჯება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდგომი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის და სხვა ეროვნული მასშტაბის გამოწვევების შემთხვევაში. **„სტაბილური განვითარების ფონდში“** განთავსდება საბიუჯეტო პროფიციტის 30 პროცენტამდე და კაპიტალური შემოსავლების 25 პროცენტი. ფონდში დაგროვდება 2 მილიარდ ლარამდე. „მომავალი ფონდის“ მართვას განახორციელებენ მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები, ხოლო „სტაბილური განვითარების ფონდისას“ – საქართველოს ეროვნული ბანკი.

ამ ბლოკში მეორე მნიშვნელოვანი სიახლეა **ბიუჯეტისთვის პროფიციტულობის სავალდებულო ხასიათის მინიჭება,** რომელმაც ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 0,5 პროცენტი უნდა შეადგინოს.

საქართველოს გადაქცევა საერთაშორისო საფინანსო ცენტრად წარმოადგენს ამ ბლოკის მესამე რევოლუციურ სიახლეს. ამის რეალიზაცია მოხდება საფინანსო-საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის გზით.

ბლოკი **„მოსახლეობის კეთილდღეობა“** თავისი მასშტაბებით და სიღრმისეულობით განსხვავებულია წინა სამთავრობო პროგრამებისგან. საუბარია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლების მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსზე და ამ კუთხით საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვან ზრდაზე.

ბლოკში **„ლოგისტიკა, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა“** დაფიქსირებულია ის ძირითადი ამოცა-

ნები, რომლებიც წინა სამთავრობო პროგრამებში იყო ასახული ან კიდევ, რომელთა განხორციელება პრაქტიკულად დაწყებულია. ნაწილობრივ სიახლედ შეიძლება იქნას მიჩნეული ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ამოქმედება, რომელიც მოიზიდავს 1,5 მლრდ ინვესტიციას და დაასაქმებს 20000 ადამიანს.

ბლოკში **„სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსები“** სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს მთავრობის მიერ ბუნებრივი რესურსების მართვის ბერკეტების კერძო სექტორისათვის გადაცემა.

მიზნების და ამოცანების წრე, რომლებსაც სათანადოდ ან საერთოდ არ ჰპოვეს ასახვა სამთავრობო პროგრამაში. ნებისმიერი პროგრამა მისი კლასიკური გაგებით ნიშნავს დასახულ, გათვალისწინებულ სამუშაოთა გეგმას, გაწერილს დროსა და შემსრულებლების ჭრილში. ახალი სამთავრობო პროგრამა არასრულად, მაგრამ დროში (5 წელი) მაინც გაწერილია, თუმცა არაა გახსნილი რომელი ამოცანა რომელ წელს დასრულდება. **რაც შეეხება პროგრამის სივრცობრივ-შემსრულებელთა ჭრილში გაწერას, იგი სამწუხაროდ, არ იქნა საჭიროდ მიჩნეული, რაც მის გამჭვირვალებას და შემსრულებელთა პასუხისმგებლობას ამცირებს. კომპლექსურობის პრინციპიდან გამომდინარე კი ახალი სამთავრობო პროგრამა, წინა პროგრამებისაგან უფრო მოკრძალებულია. მართალია, იგი ახალ ამოცანათა დასახვის მხრივ უფრო გაბედული და შეიძლება ითქვას, ინოვაციური ხასიათისაა, მაგრამ კომპლექსურობის მხრივ ნამდვილად ჩამორჩება ყველა წინა სამთავრობო პროგრამებს.** ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა შემდეგი გარემოებები:

- **მთავრობის სტრუქტურაში შეიქმნა რეგიონალური მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თუმცა პროგრამაში სათანადოდ არაა ასახული ამ კუთხით არსებული ამოცანები. კერძოდ, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: რეგიონალური გამოთანაბრების პრობლემა, დეპრესიული და მაღალმთიანი რეგიონების პრიორიტეტული აღორძინება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ტერიტორიული დიფერენციაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის განვითარება და ა.შ.**
- **მთავრობის სტრუქტურაში შეიქმნა აგრეთვე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა**, რაც როგორც ჩანს, ამ პრობლემის განსაკუთრებული მნიშვნელობითაა განპირობებული. პროგრამაში არაფერია ნათქვამი მომავალ ხუთწლედში მოსახლეობის აღწერის როლზე და ამოცა-

ნებზე, დიასპორის აღრიცხვაზე და საერთოდ საემიგრაციო პოლიტიკის შესახებ, რომელიც დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური სტატისტიკით, 2006 წელს 2005 წელთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 82,8 ათასით, ხოლო 2007 წელს 2006 წელთან მიმართებაში – 96,0 ათასით, სულ ორ წელიწადში ზრდამ შეადგინა 178,8 ათასი კაცი. **სამთავრობო პროგრამა კი 5 წელიწადში ითვალისწინებს სულ 150 ათასიან ზრდას,** როცა **ძნელი დასასაბუთებელია ან უზუსტობას აქვს ადგილი**. რაც შეეხება სამშობლოში დაბრუნებულთა რიცხვის გადაჭარბებას ემიგრირებულთა რაოდენობასთან, ამის ზუსტი აღრიცხვა ფაქტობრივად შეუძლებელია, რამდენადაც დღემდე ასეთი სახის ოფიციალური სტატისტიკა რეალურ სურათთან დაშორებულია.

სადისკუსიო საკითხები. დღევანდელ პირობებში ყოველმხრივ სრულყოფილი და გამართული სამოქმედო პროგრამის შემუშავება ფაქტობრივად შეუძლებელია, ამოსავალი ინფორმაციის არასრულყოფილებისა და პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა სწრაფად ცვალებადობისა და ალბათური ხასიათის გამო. ამიტომაც პროგრამა, მით უმეტეს, გრძელვადიანი (ხუთწლიანი) ხასიათის, ასახავს განვითარების მხოლოდ ზოგად ტრაექტორიებს და მიმართულებებს. ამ კუთხით ზოგიერთი სტრატეგიული საკითხი გზა და გზა შეიძლება გარკვეულ გადაფასებას და ტრანსფორმაციას დაექვემდებაროს.

- მაგალითად, პროგრამაში აღნიშნულია, **რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში შენარჩუნდება ბოლო წლების ეკონომიკური კურსი და დინამიკა. გაგრძელდება ეკონომიკის სწრაფი ზრდა საშუა-**

ლოდ, ყოველწლიურად 8 პროცენტით. თუ ოფიციალურ სტატისტიკას დავუჯერებთ, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (2003-2007 წწ.) მშპ-ს საშუალო წლიური ზრდა საბაზრო ფასებში შეადგენდა 9,1 პროცენტს, რაც პროგრამაში მოცემულ დებულებებთან წინააღმდეგობაში მოდის ანუ რეტროსპექტული ტემპები პერსპექტიულ ტემპებთან შედარებით უფრო მაღალია. ვფიქრობ, მთავრობას ეკონომიკური ზრდის ტემპები უფრო მაღალი უნდა დაეგეგმა, თუნდაც იმ დონეზე, რაც ჩვენს მეზობელ ქვეყნებს – აზერბაიჯანს და სომხეთს გააჩნია ამ ბოლო წლებში (10-12%).

● პროგრამის თანახმად, 5 წლის განმავლობაში ინფლაცია წლიურად საშუალოდ 7 პროცენტი იქნება, რისი მიღწევა ნავარაუდევია მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებით (პროგრამის საწყის ეტაპზე). მონეტარული თეორიიდან და პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ძვირი ფულის პოლიტიკა გარკვეულწილად ამუხრუჭებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს. ჩემი აზრით, **უფრო მისაღები იქნებოდა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ნაცვლად კურსი აღებულიყო ზომიერად მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, რაც თავსებადია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასთან. ასევე უნდა დასახულიყო ამოცანა, ინფლაციის ეგზოგენური ფაქტორების გავლენისგან ეროვნული ეკონომიკის დაცვის მიმართულებით.**

● პროგრამით გათვალისწინებულია საგეგმო პერიოდში 10 მლრდ დოლარის ინვესტიციის მოზიდვა. **ვფიქრობ, ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისათვის უფრო მნიშვნელოვანია არა იმდენად ინვესტიციების რაოდენობა, ვიდრე ინვესტიციების სტრუქტურა, რადგან საშუამავლო ინვესტიციები მეტწილად გამოიყენება არა რეალური სექტორის ასაღორძინებლად, არამედ „აღებ-მიცემობის“ კუთხით. ეს საკითხი ცალკე დისკუსიის საგანია. საქართველოში მოზიდული ინვესტიციების სტრუქტურა დღეისათვის ნაკლებად ოპტიმალურია.**

● პროგრამა ითვალისწინებს ბიუჯეტის მექანიკურ პროფიციტულობას. მასში საუბარია ხელოვნურ სავალდებულო პროფიციტულობაზე, რადგან საბიუჯეტო ხარჯების ნორმატივებიდან გამომდინარე, მაღალგანვითარებული ქვეყნებიც კი ვერ აღგენენ პროფიციტულ ბიუჯეტს. ხელოვნური პროფიციტულობის მიღწევა არაა პრობლემა – საბიუჯეტო ვალდებულებების სხვადასხვა ვარიაციით შეიძლება შედგენილ იქნას მეტნაკლებად პროფიციტული ბიუჯეტი. ერთის მხრივ, საბიუჯეტო ვალდებულებების შეზღუდვა უდავოდ ხელს შეუწყობს სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას, მაგრამ სხვა მხრივ ამან შეიძლება წარმოშვას ახალი პრობლემები. კერძოდ, გამომდინარე იქიდან, **რომ დღის წესრიგში მწვავედ დგას მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების (რომელთა სასტარტო დონე ძალიან დაბალია), შესრულების ამოცანა, მომავალში სახელმწიფო ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდება, რაც თავის მხრივ პრობლემებს შეუქმნის პროფიციტული ბიუჯეტის შედგენას.** აქ გათვალისწინებულია ფასწარმოქმნის პრობლემაც, რადგან მომავალში ფასების ზრდას ალტერნატივა არა აქვს, რადგან გაგრძელდება მსოფლიო ფასებთან დაახლოების პროცესი. ასევე, გათვალისწინებულია ეკონომიკური კანონზომიერებაც, რომლის თანახმად, **ზომიერად დეფიციტური ბიუჯეტი სტიმულს აძლევს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა ბუნებრივი პროფიციტული ბიუჯეტის შედგენა, თუმცა, მომავალ ხუთწლედში ეს ფაქტობრივად შეუძლებელია.**

● **პროგრამა ითვალისწინებს საგადასახადო წნეხის შემდგომ ლიბერალიზაციას, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 15 პროცენტამდე შემცირებას და კაპიტალზე გადასახადის მთლიანად გაუქმებას**. სადავო ნამდვილად არ არის ის ფაქტი, რომ დაბალი გადასახადები ასტიმულირებს მეწარმეობრივ აქტივობას. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, მაგრამ გასათვალისწინებელია რიგი ენდოგენური ფაქტორები. კერძოდ, **დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში საგადასახადო წნეხი გაცილებით დაბალია ე.წ. „ლაფერის მრუდის“ კრიტიკულ წერტილთან შედარებით (დაახლოებით 35 პროცენტი), რაც მიგვანიშნებს, რომ ეროვნული საგადასახადო სისტემა საკმაოდ ლიბერალურია. ჩემი აზრით, დღეს მთავარი ამოცანა მდგომარეობს არა იმდენად ზოგადად საგადასახადო განაკვეთების შემცირებაში, არამედ უფრო საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურ გადანაწილებაში წარმოებას, მოხმარებასა და კაპიტალს შორის. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, საჭიროა დიფერენცირებული საგადასახადო განაკვეთების შემოღება, რომლითაც შესაძლებელი გახდება ეროვნული რეალური სექტორის უფრო დაჩქარებული აღორძინება-განვითარება და, შესაბამისად, ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმება.**

● პროგრამაში მოცემული რევოლუციური ინიციატივის – საქართველოს გადაქცევა საერთაშორისო საფინანსო ცენტრად, შეფასება ძალიან რთულია, რამდენადაც მისი შინაარსი არაა ბოლომდე გახსნილი და, შესაბამისად, მრავალი კითხვა იბადება.

მაგალითად, რას ნიშნავს „განთავსებული იქნება 12 მლრდ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი“. სად განთავსდება? კომერციულ ბანკებში?

● პროგრამის თანახმად, ექსპორტის წილი მშპ-ში მიუახლოვდება 40 პროცენტს. ამასთან, პროგრამაში არაფერია ნათქვამი, **როგორი თანაფარდობა დამყარდება ექსპორტსა და იმპორტს შორის. დღეისათვის იმპორტი ექსპორტს 4-ჯერ აჭარბებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ეს თანაფარდობა შენარჩუნდება, ქვეყანაში დასაქმების პრობლემის დაძლევა შეუძლებელი იქნება, რამეთუ მაღალი იმპორტით საქართველო ხელს უწყობს სხვა ქვეყნებში სამუშაო ძალის დასაქმებას.**

● პროგრამაში დასახულია ამოცანები დასაქმებისა და სიღარიბის პროგრამის დაძლევის მხრივ. ნავარაუდევია 200 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა, რაც უმუშევართა მხოლოდ 25-30 პროცენტს დასაქმებს. ფაქტობრივად, დღეს უმუშევრობის დონე 3-4-ჯერ უფრო მაღალია ოფიციალური სტატისტიკის მიერ დაფიქსირებული 13,6 პროცენტიანი დონისგან. ამასთან, საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. პროგრამის ძირითადი მიზნების ჩამონათვალში მკაფიოდაა დაფიქსირებული №1 მიზანი – **„მოსახლეობის კეთილდღეობა – საქართველო სიღარიბის გარეშე“**, თუმცა, პროგრამის შინაარსში საკითხი დაყენებულია უფრო ფრთხილად: **„საგრძნობლად შემცირდება სიღარიბე – 5 წელიწადში სოციალური პროგრამების ბენეფიციართა 50% მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების გამო გამოვა ბენეფიციართა სიებიდან“. თუ ამ უკანასკნელ ფორმულირებას დავეთანხმებით, გამოდის, რომ თავდაპირველი ფორმულირება „საქართველო სიღარიბის გარეშე“ მომავალ ხუთ წელიწადში ფაქტობრივად არ შესრულდება, რაც რეალურად უნდა ჩაითვალოს.** სიღარიბის დაძლევას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. მისი ბუნებიდან გამომდინარე, მთლიანად სიღარიბის დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელია. არ არსებობს დედამიწაზე სახელმწიფო, რომელსაც სიღარიბის პრობლემა მეტ-ნაკლებად არ აწუხებდეს, რადგან სიღარიბე ფარდობითი და მოძრავი სიდიდეა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თუ პროგრამის კონკრეტული ნაწილიდან გამოვალთ, 2012 წლისათვის საქართველოში სიღარიბის დონე შენარჩუნდება 20 პროცენტის სიახლოვეს. **რა თქმა უნდა, პროგრამა უფრო კონკრეტული იქნებოდა თუ მასში დაფიქსირდებოდა პროცენტებში სიღარიბის დონის, სიღარიბის სიღრმის და სიღარიბის სიმწვავის მოსალოდნელი ცვლილებები.**

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამის სხვა დებულებებზეც შეიძლება დისკუსიის გამართვა, თუმცა, ამჯერად უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გავამახვილეთ ყურადღება.